პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით | ხუთშაბათი, 17 აპრილი 1924 წ. | წელიწადი მეოთხე | ფასი 5 კაპ. ჩერ.

# ფოთელი პროლეტარი

№ 478 ქ. მ. ღ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., რუსთ. პრ-ს. ქართ. დივ. შტაბი ქალ. ელს № 1—40
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც. ნომპა-ელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## კომუნალურ სექციის წევრების საყურადღებოდ.

კომუნალური სექცია დაყოფილია სამ ქვე/სექციათ: კეთილ-მოწყობის, უძრავ ქონებათა სამმართველოს და წარმოებების.—

ამიტომ ვთხოვ ამ სექციის წევრებს განაცხადონ სურვილი თუ რომელ ქვე/სექციაში სურთ მუშაობა.—

პირადი განცხადებები მიიღება 16 აპრილიდან 19 აპრილამდე დილის 9-საათიდან ნაშუადღევის 3-საათამდე კომუნალურ განყოფილების საქმეთა მმართველის ამხ. დვოროკოვსკისთან (ოთახი № 58.)

კომუნალურ სექციის თავმჯდომარე

**ივანოვ-კავკასიელი.**

## საბჭოთა კავშირის და ინგლისის კონფერენციის გახსნა.

14 აპრ. ლონდონში გაიხსნა საბ. კავშირის და ინგლისის კონფერენცია, რომელმაც საბოლოოდ უნდა გადაჭრას ყველა ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებული არიან ამ ორ სახელმწიფოთა შორის ნორმალურ სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის დამყარების საკითხთან.

კონფერენცია გახსნა ინგლისის დელეგაციის თავმჯდომარემ მაკდონალდმა, რომელიც ვრცელი სიტყვით შეეხო კონფერენციის ამოცანებს, და მის მნიშვნელობას. მან აგრეთვე გამოსთქვა სურვილი კონფერენციის ნაყოფიერად და ჯეროვანად ჩატარებაზე.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა ამხ. რაკოვსკი, რომელიც მიესალმა მაკდონალდის სურვილს კონფერენციის ორივე მხარეთა სასურველად ჩატარების შესახებ და თავის მხრივ შეეხო კონფერენციის დანიშნულებას.

ამრიგად მოხდა პირველი შეხვედრა.

მაკდონალდმა, როგორც მოსალოდნელი იყო წამოაყენა ყველა ის კითხვები, რომელსაც ჩვენ ჯერ კიდევ გენუაში გვიყენებდა ლოიდ-ჯორჯი.

მაგრამ ამ ჟამად ამ საკითხების დაყენება ხდება ერთ განსხვავებით—ეს მხარეთა უფლებების თანასწორობის ნიადაგზე. ე. ი. თუ ინგლისი ჩვენ წამოგვიყენებს მეფის ვალებს, ჩვენ მათ წაუყენებთ იმ ზარალს, რომელიც მოგვაყენა ინგლისის იმპერიალიზმმა თავისი ინტერვენციით.

ინგლისის დელეგაცია კონფერენციის დღის წესრიგის პირველ რიგში აყენებს ვალებისა და ურთიერთ პრეტენზიების საკითხს.

ეს საკითხი მთავარია.

ჩვენ არ ვიცით ამ საკითხის გარჩევის დროს როგორ მოიქცევა ინგლისის დელეგაცია, წამოგვიყენებს ის თუ არა ისეთ პირობებს, როგორც ეს სწადია ინგლისის ფინანსიურ ბურჟუაზიას, რომელმაც უკვე წარუდგინა მაკდონალდს თავისი მემორანდუმი. ეს მემორანდუმი, რომელიც ექვს მუხლისაგან შესდგება სრულიად მიუღებელია ჩვენთვის, რადგან ის ნიშნავს ოქტომბრის მონაპოვართა განადგურებას და კაპიტალიზმის რესტავრაციას საბჭოთა ტერიტორიაზე.

თავის თავად ცხადია ჩვენ არას დროს არ წავალთ ასეთ დათმობაზე, მით უმეტეს ეხლა, როდესაც ჩვენ ათასჯერ მეტად ძლიერი ვართ, ვიდრე გენუის დროს, როდესაც ჩვენ ეს პირობები მიუხედავად ჩვენი მაშინდელი უმწეო მდგომარეობისა უარვყავით. მაგრამ არის მეორე ხარისხის ბურჟუაზია ინგლისში, რომელიც წინააღმდეგ თვალსაზრისზე სდგას, ეს არის საშუალო ბურჟუაზია, რომელიც ბაზრის უქონლობის გამო საშინელ კრიზის განიცდის და თანახმაა დროებით ხელი აიღოს ისეთ მოთხოვნილებებზე, როგორც ეს წამოაყენა ფინანსიურმა ბურჟუაზიამ.

საბჭოთა კავშირთან მეზობლური ურთიერთობის და მჭიდრო თანამშრომლობის დამყარების ენერგიული მომხრეა ინგლისის მრავალ მილიონიანი მუშათა კლასი. ჩვენ არ ვიცით რა გზას დაადგება მაკდონალდი. ჩვენი დელეგაცია კი ყოველივე ღონისძიებას იხმარს, რათა მიღწეულ იქმნას შეთანხმება. მაგრამ ის არას დროს არ წავა ისეთ დათმობაზე, რომელიც ხელს შეუშლის ჩვენ წინსვლას და განვითარებას.

ასეთია ჩვენი ხაზი. ვნახოთ რას იტყვის მაკდონალდი. დაიკავებს ის ისეთ ხაზს, რომელიც გამოხატავს ინგლისის მუშების სურვილს და შესძლებს ნორმალურ ურთიერთობის დამყარებას საბჭოთა ქვეყნებსა და ინგლის შორის თუ არა, ამას გვიჩვენებს უახლოესი დღეები.

# რადიო-დეპეშები

## ლონდონის კონფერენცია.

**დაწვრილებითი ცნობები პირველი სხდომის შესახებ.**

**კონფერენციის გახსნა.**

14 აპრილს საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში გაიხსნა ინგლის-საბჭოთა კონფერენცია. თითეულ მხრიდან დაესწრო 30—30 კაცი. სხდომაზე სუფევდა მეგობრული განწყობილება. დამსწრეები არ ეყრდნობოდენ ფორმალისტობას.

კონფერენცია გახსნა მაკდონალდმა, რომელმაც წინადადება შემოიტანა—მიენდოს 2 კაცს—ორივე მხარეებიდან კონფერენციის ანგარიშის შეთანხმება პრესისათვის. სხვა ცნობები, რომლებიც არ იქნებიან დამტკიცებული ამ პირების მიერ, არ უნდა იქნას გამოქვეყნებული პრესაში. რაკოვსკიმ თანხმობა განაცხადა. მაკდონალდმა განაცხადა, რომ გაცემულ იქნება სპეციალური განკარგულება მისი და რაკოვსკის სიტყვების სრულად გამოქვეყნების შესახებ. შემდეგ მან წაიკითხა თავისი შესავალი სიტყვა. მაკდონალდის შემდეგ სიტყვა სთქვა რაკოვსკიმ.

სიტყვების დასრულების შემდეგ მაკდონალდმა წინადადება შეიტანა დაარსებულ იქნას საორგანიზაციო კომისია სხვა და სხვა კომისიების ორგანიზაციებისთვის საქმეთა მომზადების შესახებ, სხდომების ვადის დანიშვნის, და სეკრეტარიატის დაარსების შესახებ. რაკოვსკი დაეთანხმა ამ წინადადებაზე და დაუმატა, რომ საბოლოო გადაწყვეტილება ამ საკითხების შესახებ მიეკუთვნოს ორივე დელეგაციების თავმჯდომარეებს. მაკდონალდი დასთანახმდა ამაზე და ამით დამთავრდა სხდომა. შემდეგ საბჭოთა დელეგაცია გაემართა საუზმეზე პრემიერის ბინაზე.

საორგანიზაციო კომისიის სხდომის კრება დაინიშნა 15 აპრილისთვის, პოლიტიკური კომისიის—16-ს, ეკონომიური—17-ს, რის შემდეგ კონფერენცია შეწყდება სააღდგომო უქმეების გამო.

**წარსულს უნდა უყოთ ლიკვიდაცია და მივაღწიოთ ურთიერთ შორის შეთანხმებას.**

**მაკდონალდის სიტყვა.**

**კონფერენცია შეავსებს სსრკ—ს იურიდიულად ცნობის ფაქტს.**

რუსეთ-ინგლისის კონფერენციის გახსნის დროს მაკდონალდმა გამოსთქვა იმედი, რომ კონფერენცია შესძლებს გადასჭრას საკითხი ორივე მხარეს შორის კეთილ განწყობილების დამყარების შესახებ. მაკდონალდი აღნიშნავს რომ ინგლისის მთავრობას არ აქვს ფიქრად ჩაერიოს საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეში. მაგრამ, როდესაც ქვეყანა შედის საერთაშორისო ურთიერთობაში, და როცა ეს მიმართულია ურთიერთ ნდობისაკენ, რომელსაც მოითხოვს ვაჭრობა, ორივე მხარე უნდა სცდილობდეს საჭირო შეთანხმების მიღწევას მთელ რიგ საკითხებში.

დღევანდელი კონფერენცია წარმოადგენს საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობის ფორმალური აქტის დამატებას, რომელიც მარტო არ კმარა ნორმალური პირობებისა, სრულიად მეგობრულ ურთიერთობის და კომერციულ დაოკიდებულების სრული დაყარებისათვის, რომე თა აღდგენა მომავალ დროში—ინგლისის გულწრფელ სურვილებს წარმოადგენს.

მაკდონალდი ამბობს: „ჩვენი ცნობა იყო სრული ცნობა, ჩვენ არავითარი სურვილი არ გვაქვს დავტოვოთ ეს პოზიცია და გავექცეთ აქედან გამომდინარე შედეგებს. ჩვენ ამას სრულიად გულწრფელად ვამბობთ და ვიქნებით თავისი სიტყვის დამცველი. მაგრამ ჩვენ არ ვკმაყოფილდებით უბრალო ცნობით ქაღალდზე, არამედ გვინდა მას რეალური, პრაქტიკული სახე მივსცეთ, რათა ხელი შევუწყოთ ურთიერთობას ორივე ქვეყნებს შორის, რომელთა წარმომადგენლებიც ჩვენ ვართ. იურიდიულად ცნობას უნდა მოყვეს ორივე მხარის გადაწყვეტილება, რათა პრაქტიკულად მიუდგენ დღევანდელი მდგომარეობის ფაქტებს—ფაქტებს, რომლებიც არ შეიძლება შეცვლილ იქნას ერთი კალმის მოსმით და რომლებიც მოითხოვენ ყურადღებით შესწავლას და აზრთა გაცვ-

## ასე იყო. ასე არ არის და არც იქნება.

თორმეტმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც მეფის თვითმპყრობელობა მხეცურად და სასტიკად გაუსწორდა მუშებს ლენის ოქროს მაღაროებში.

მუშების მშვიდობიან მოთხოვნილებას, თავიანთი მძიმე მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებისა და 8 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ, თვითმპყრობელობამ პასუხი გასცა ტყვიებითა და როზგებით.

17 აპრილს ჟანდარმის როტმისტრმა ტრეშჩენკომ ტყვიის წვიმა დაუშინა უიარაღო მუშებს, რომლებიც მიეშურებოდენ პროკურორთან მოსალაპარაკებლად დაპატიმრებულ მუშათა დელეგატების შესახებ.

მეფის დესპოტიის ასეთი უმაგალითო მხეცური მოქმედება, რუსეთის და უცხოეთის ბურჟუაზიის სასარგებლოდ, მოწოდების საყვირად გაისმა უსაზღვრო, მრავალ ტანჯულ მშრომელთა რუსეთის სივრცეზე. საშინელი წყევა-კრულვა, სიძულვილის ხმა და სასტიკი პროტესტი გაისმა ყოველი მხრიდან მუშების ასე საოცრად დასჯის წინააღმდეგ.

ლენის მუშათა დახვრეტამ აღაშფოთა რუსეთის მუშათა მასები, რასაც მოყვა მუშათა მოძრაობის გაძლიერება.

და როდესაც ლენის საკითხი დასმულ იქნა სახელმწიფო სათათბიროში, მეფის მინისტრმა მაკაროვმა უპასუხა: „ასე იყო და ასე იქნება“.

მაგრამ ისტორიამ სხვა გადასწყვიტა.

ლენის ინციდენტმა რუსეთის მუშათა მასები და ცარიზმის მიერ ჩაგრული ერები აამხედრა ძირმომპალ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

1917 წლის თებერვალმა ბოლო მოუღო მის არსებობას.

ხოლო ოქტომბრის ძლევამოსილმა მეორე ტალღამ წალეკა როძიანკოების, მილიუკოვების და წერეთლების ბურჟუაზიულ—პომეშჩიკური ხელისუფლება და რკინის ცოცხით აღგავა მთელი კონტრ-რევოლიუციონური ნაგავი დიდი საბჭოთა კავშირის საზღვრებიდან.

მუშათა კლასმა წითელი ოქტომბრით დაამტკიცა: „ასე იყო, ასე არ არის და არც იქნება“.

დღეს საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა კლასი ძლევამოსილი მიიწევს წინ კომუნიზმის გზით და ხრის წითელ დროშებს ლენის ტრაგედიის მსხვერპლთა ხსოვნის წინაშე.

უმაგალითო ტანჯვის, უსაზღვრო მსხვერპლის და მრავალ დამარცხებების გზით მოდის ოქტომბრის გამარჯვება. ამ ეკლიან გზაზე დაეცა მუშათა კლასის მრავალი, საუკეთესო შვილები, მაგრამ მან მაინც გაიმარჯვა, შექმნა ძლიერი საბჭოთა კავშირი,—მტკიცე, დასაყრდნობი მსოფლიო სოციალური რევოლიუციისა.

დღეს ჩვენ ვიგონებთ მძიმე დღეებს შავი რეაქციის აღვირ აწყვეტილ თარეშისა, რომლებიც არას დროს არ განმეორდებიან ჩვენში, მაგრამ რომლებიც კიდევ არსებობენ კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ბევრი ბურჟუაზიული ქვეყანა, ფაშიზმისა და უმაგალითო რეპრესიების საშუალებით სცდილობს გადაირჩინოს თავი მსოფლიო რევოლიუციის მოახლოებულ ტალღებისაგან.

ათეული და ასეული რევოლიუციონერები იტანჯებიან ბურჟუაზიულ ქვეყნების ციხე საპყრობილეებში.

და ლენის გმირთა საუკეთესო ხსოვნის პატივისცემა იქნება ის თუ ჩვენ ენერგიულად გაუწევთ მატერიალურ და მორალურ დახმარებას საერთაშორისო რევოლიუციის გმირებს. ამით ჩვენ დავაჩქარებთ მსოფლიო ოქტომბერს, რომელიც დედამიწის დანარჩენ ნაწილებშიაც ბოლოს მოუღებს იმპერიალისტურ ბურჟუაზიისა და ფაშიზმის აღვირ ახსნილ თარეშს.

ლა-გამოცვლას გონივრულ გადაწყვეტილების გამოსატანად.

ასეთი გადაწყვეტილების მიზანია ძირითადი ხაზების აღნიშვნა, რომლის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ვაწარმოოთ ჩვენი მუშაობა დიდის წარმატებით: პირველი—ლიკვიდაცია ვუყოთ წარსულს, მეორე—შევთანხმდეთ უფლებათა და ვალდებულების საფუძვლებზე, რომლებიც არსებობენ ორ ქვეყნებს შორის და მესამე—რამდენადაც შესაძლებელია უზრუნველვყოთ მშვიდობიანი და ორივესთვის ხელსაყრელი ურთიერთობა მომავლისთვის.

### ლიკვიდაცია უნდა ვუყოთ წარსულს.

პირველი მუხლის შესახებ: ინგლისის დელეგაცია ფიქრობს შეიტანოს მასში მთავრობებს შორის ურთიერთ ვალდებულების განხილვა, პრეტენზიები რუსეთის ქაღალდების მქონე ინგლისელებისა და ინგლისის ქვეშევრდომთა პრეტენზიები, რომელთაც ჩამოერთვათ ქონება, ან, რომლებიც დაზარალდენ პოლიტიკურ შემთხვევათა გამო რუსეთში.

რუსეთის დელეგაციის დეტალური წინადადებები ამის შესახებ გამოქვეყნებული იქნება თავის დროზე.

თქვენ, თავის მხრივ, მე ვფიქრობ, გაქვთ სხვა და სხვა პრეტენზიები, რომელიც გინდათ აქ განაცხადოთ. ჩვენ უნდა მოვეპყრად მათ იმავე ყურადღებით, როგორც თქვენ მოეპყრობით ჩვენს მოთხოვნილებებს.

### უნდა მივაღწიოდ ურთიერთშორის შეთანხმებას.

მეორე მუხლს ეხება დისკუსია მოლაპარაკებათა შესახებ, რომლებიც დადებული იყო ძველი რუსეთის და ინგლისის მთავრობების მიერ. მათი განხილვა გვიჩვენებს, რომელი მათგანი უნდა იქნას ცნობილი მისაღებად დღევანდელ პირობებში, რომელი ეწინააღმდეგება თითეულ ქვეყნის მიერ თავის თავზე მიღებულ ვალდებულებებს, დაწყებული 1917 წლიდან სხვა სახელმწიფოების მიმართ და რომელთა მიღებაში ჩვენ შევთანხმდებით.

### უნდა უზრუნველვყოთ მშვიდობიანი დამოკიდებულება მომავალში.

მესამე მუხლში შედის სავაჭრო შეთანხმების შეცვლა კომერციული მოლაპარაკებით და დისკუსია დამატებითი წერილების შესახებ, რომლის მიზანია დაბრკოლებათა თავიდან აშორება, რომლებიც შეიძლება წამოიჭრან საბჭოთა კავშირის და ინგლისს შორის საკონსტიტუციო და ადმინისტრატიული რეჟიმის სხვა და სხვაობის გამო. საჭიროა ჩვენი ურთიერთშორის უშიშროების შეგნება ამ მხრივ წინააღმდეგ შემთხვევაში მოლაპარაკება დარჩება უშედეგოდ, ვინაიდან, ჯერ ხალხი არ არის დარწმუნებული, რომ დადებული ხელშეკრულებანი დაცული იქნებიან უკანასკნელ ანბნამდი.

### საკითხი პროპაგანდის შესახებ.

ბოლოს კონფერენცია უნდა ილტვოდეს სრულიად გულახდილ დისკუსიისაკენ მთავრობებს შორის მიმოწერის საკითხის, ეგ. წოდ. პროპაგანდის შესახებ, არა იმ მიზნით, რომ კვლავ განხილულ იქნას ინციდენტები, რომლებიც წარმოადგენის საგანი იყო წარსულში (ამ მოქმედების შესახებ შეიძლება სრული პატიება, იმდენად, რამდენადაც მთავრობები აღჭურვილი იყვნენ ღია ან ფარული მტრობით) არამედ იმ მიზნით, რათა აშორებულ იქნას მსგავსი დაბრკოლებები, და მომავალში ხელს არ უშლიდეს ჩვენს ურთიერთ შორის დამოკიდებულებას.

ჩვენ საბჭოთა კავშირს არ ვედავებით უფლებაში დაამყაროს თავის ტერიტორიაზე შინაური მმართველობის ისეთი ფორმა, რომელიც მას უჯობს, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ორივე ქვეყნებისთვის მეგობრული და ხელსაყრელ ურთიერთობის პირობა მდგომარეობს იმაში, რათა თავი შეიკავოს პირდაპირ და არა პირდაპირ ზრახვებისაგან აწარმოოს ჩვენს ხალხში პროპაგანდა, რაც წარმოადგენს უკანონობას; რამდენადაც მას კანტროლს უწევენ და ფინანსიურ დახმარებას აძლევენ საზღვარგარედან. ჩვენი ქვეყნის ერი ამ მუხლის მიხედვით უფრო მეტს მოითხოვს, ვინემ მხოლოდ ფორმალური ვალდებულებაა, მე თვითონ პირადად ახლოს ვიცნობ საერთაშორისო მოძრაობას, და არ მოვტყუვილდები ყალბი განსაზღვრებით. ეს მუხლი—მე იმედი მაქვს განხილულ და გადაჭრილ იქნება მეგობრული გზით.

### კონფერენციის მუშაობის პროექტი.

შემდეგ მაკდონალდს წინადადება შემოაქვს განაწილებულ იქნას კონფერენციის მუშაობა პოლიტიკურსა და ეკონომიურ კომისიებს შორის, პლენუმის მოწვევით რათა მიეცეს კომისიის გადაწყვეტილებებს დოკუმენტალური ხასიათი, და აგრეთვე საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგის—პანსონბის თავმჯდომარეობით შექმნილ იქნას საორგანიზაციო კომისია, კომისიების მუშაობის წესრიგის გამოსამუშავებლად, მათი პირადი შემადგენლობის განსასაზღვრავად და კონფერენციის სამდივნოს (სეკრეტარიატის) დასაარსებლად.

რაც შეეხება პირად მონაწილეობას, მაკდონალდი აღნიშნავს, რომ ის იტოვებს თავისთვის თავმჯდომარეობას კომისიების გაერთიანებულ სხდომებზე, მაგრამ კომისიის მუშაობაში კონკრეტიული მონაწილეობის მიღება მას არ შეუძლია.

### ერთმანეთის ნდობისა და გაგების საფუძვლებზე.

დასასრულ მაკდონალდი ამბობს: „მიზნები, რომლებსაც ჩვენ ვემსახურებით, ვერ იქნებიან მიღწეული, სანამ ჩვენ არ მივაღწევთ ერთმანეთის სრულ გაგებამდე. თუ კონფერენცია დაიწყებს მუშაობას ერთმანეთის მოტყუილების მიზნით, იმ შემთხვევაში მუშაობის დამთავრების შემდეგ მდგომარეობა ორივე სახელმწიფოებს შორის უფრო მწვავე იქნება, ვინემ იყო წინად.

იმავე დროს დამარცხება გაფრთხილება იქნება დანარჩენ ქვეყნებისთვის, რომლების წარმომადგენელი თუმცაღა აქ არ არიან, მაგრამ დიდის ყურადღებით ადევნებენ თვალს კონფერენციის მუშაობას.

მაკდონალდი აღნიშნავს, რომ ის ლაპარაკობს არა მხოლოდ როგორც ანგლისის მთავრობის თავმჯდომარე, რომელმაც გამოიჩინა გულწრფელობა იურიდიულად ცნობით, არამედ აგრეთვე როგორც მთავრობის მეთაური, რომელიც მზად არის ყოველგვარი ყურადღება მიაქციოს საბჭოთა კავშირს შესაძლებლობის ფარგლებში.

ჩვენი მუშაობა ფუჭი იქნება, თუ რომ გავლენა ექნება რაიმეს კონფერენციის შედეგებზე და წაართვას შესაძლებლობა ჩვენ ქვეყნებს მშვიდობიანი ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის დამყარებაში, მეორე ქვეყნის შინაურ საქმეში ჩაურევლად.

ჩვენ უნდა ავაგოდ ჩვენი შეთანხმება უფრო ფართე საფუძვლებზე, ვინემ მსუბუქ საქმიან ხელშეკრულობაზე და გამოასწოროდ უკანონობა უკანასკნელ შესაძლებლობამდე.

კრედიტები ჩვენ გვაქვს არა მთავრობის ბანკებში, არამედ კერძო პირთა საწყობებში, და სანამ ჩვენ არ დავაკმაყოფილებთ ჩვენი მოქალაქეების მასას, არავითარი შეთანხმების დაცვა არ შეიძლება, და ჩვენ ვერ შევძლებთ დავეხმაროდ ერთმანეთს. ჩვენი ხალხი ყოველთვის მზადაა შეთანხმებისათვის, როდესაც ის ხედავს სხვა ქვეყნის მხრივ შეთანხმების წრფელ სურვილს.

### ლონდონის კონფერენციის მსოფლიო მნიშვნელობა.

დღეს მთელი ქვეყანა თვალყურს ადევნებს ჩვენს მოლაპარაკებას და ჩვენს გამარჯვებასთან დაკავშირებით გადასჭრის საკითხს, თუ როგორი დამოკიდებულება უნდა დაიჭიროს მან სსრკ-სთან და რამდენად მსგავსი მოლაპარაკება წარმოადგენს საშუალებას დაბრკოლებებისა და აზრთა სხვადასხვ. თავიდან აშორების საქმეში.

მე ვსთვლი ინგლისის მთავრობის მოვალეობად არ დასტოვოს არც ერთი საშუალება გამოუყენებელი, რათა მიღწეულ იქნას მშვიდობიანობა სამართლიანობის, უშიშროების და ნდობის საფუძვლებზე. იურიდიულად ცნობით ჩვენ გადავდგით პირველი ნაბიჯი, მეორე ნაბიჯს ჩვენ გადავდგამთ ერთად და გავამართლებთ მრავალ მილიონთა იმედებს, რომლებიც შემოსცქერიან კონფერენციას დიდის მოლოდინით.

## ქ. დ. მთლიანი მომხმარებელი საზოგადოება და სესხი.

(დასასრული).

დღეს როდესაც სესხის გაცემა დავასრულეთ, ფრიად საგულისხმოა როგორ ჩატარდა საქონლის საფასურის ანაზღაურება. თანახმად შემოღებული წესისა გამგეობის ბუხგალტერიის სიების მიხედვით სათანადო თანხა ხაზინიდან მიღებისთანავე ნაწილებს შეჰქონდათ იმ ბანკებში, სადაც არის ჩვენი მიმდინარე ანგარიშები (კოოპერატიული ბანკები) ან და თუ დრო იძლეოდა საშუალებას ფული შემოჰქონდათ გამგეობაში, ნაწილების მოლარეები და სამნეო ნაწილის უფროსები, რომლებიც დებულობდენ ფულს ხაზინაში უმეტეს შემთხვევებში, ასწრებდნენ თავის დროზედ ჩვენ ანგარიშზედ ფულის შეტანას ბანკებში ან ხაზინაში, რითაც ისინი დიდ ზარალს აცდენდნენ თავიდან მომხმარებელ საზოგადოებას და შემოტანილი ფულის 80 პროც, ყოველ შემთხვევაში გამოყენებულია კურსის განსხვავების დაუკარგველად. უნდა აღინიშნოს, რომ ასე იქცეოდნენ უმეტეს შემთხვევებში ყველა ნაწილების წარმომადგენლები, რაც მომასწავებელია იმის, რომ ჩვენი იმედები მართლდება და რასაკვირველია გამგეობა თავის მხრივ გამხნევებული და დაიმედებული საზოგადოების წევრებზედ, უფრო გაბედულად განაგრძობს ამ დიადი საქმის წარმართებას.

სესხის დაწყების შემდეგ ორჯერ იყო მიღებული ჯამაგირები დივიზიის თანამშრომლების მიერ. 15 თებერვალში და 15 მარტში. ამ დროის განმავლობაში დაფარულია: დიდ ვადიანი სესხი 15.087 მან. 76 კაპ. და მოკლე ვადიანი 5.290 მან. სულ 20.377 მან. 76 კაპ. დარჩა გადასახდელი დიდ ვადიანი 10.733 მან. 68 კაპ. და მოკლე ვადიანი 3.210 მან. სულ 13.943 მან. 68 კაპ. ეს თანხა უნდა იქნეს დაფარული 15 აპრილში ჯამაგირების მიღების დროს და ამის შემდეგ ვინაიდან უკვე დადგა გაზაფხული და საჭიროა საზაფხულო ტანისამოსის შეძენა ჩვენ საშუალება გვექნება ხელახლად გავხსნათ სესხის ოპერაციები.

ქუთაისის განყოფილებაში, რომელიც აწარმოებს მუშაობას ადგილობრივ დაბანაკებული ნაწილების შორის სესხი მიმდინარეობს დიდი ინტენსიობით, რაც უსათუოდ უნდა მიეწეროს, როგორც კოოპერატივის წევრების, ისე ლეგიონის კომისარის და უფროსის თვითმოქმედებას, რაც საშუალებას აძლევს განყოფილების გამგეობას ყოველივე საშუალებანი გამოიყენოს საზოგადოების წევრების საკეთილდღეოდ.

რაც შეეხება ბათუმს, იქ უკვე გამოცოცხლდა კოოპერატიული მუშაობა, როგორც გამოცდილი ამხანაგის კოოპერატორის ისე სათანადო საქონლის გაგზავნით. იქ უკვე დაიწყო სესხის წარმოება და ახლო მომავალი გვიჩვენებს როგორ შედეგებს მოიტანს იქ ეს აღმშენებლობა. ყოველ შემთხვევაში მე დარწმუნებული ვარ, რომ მეორე ლეგიონი კოოპერატიულ დისციპლინაში და აღმშენებლობაში არ ჩამორჩება სხვა ნაწილებს რის დამამტკიცებელი საბუთები უკვე გვაქვს.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ ჩვენ დივიზიას სრული უფლებით შეუძლია იამაყოს თავის კოოპერატიული მუშაობაში მაქსიმუმი შედეგების მიღწევით, რაც გარდა წევრების პირადი სარგებლობისა გაამაგრებს კოოპერაციას, რომელსაც აქვს განუზომელი მნიშვნელობა ჩვენი ეკონომიური ცხოვრების განვითარების პროცესში.

ვ. ბახტაძე.

## პოლიტიკური კრიზისი სპარსეთში.

რესპუბლიკანურმა მოძრაობამ სპარსეთში ფართო ხასიათი მიიღო. შაჰის ჩამოგდების შემდეგ ბრძოლა ძალაუფლებისათვის დაიწყო ორ რესპუბლიკანურ პარტიათა შორის. პირველი მათგანი ეგრედ წოდებული „ტეჯედოტი“ მომხრე არის რესპუბლიკის გამოცხადებისა დაუყონებლივ, არსებულ მეჯლისის საშუალებით და წინააღმდეგია რესპუბლიკის და მყარებაში რაიმე მონაწილეობა მიიღოს მოსახლეობის ფართო მასებმა. ხსენებულ პარტიას მეთაურობს სპარსეთის მსხვილი ფეოდალები და არისტოკრატია. მეორე რესპუბლიკანური პარტია ანუ ეროვნული ბლოკი კი მოითხოვს რესპუბლიკის გამოცხადებას მხოლოდ დამფუძნებელი კრების მოწვევის გზით. ეროვნულ ბლოკს შეადგენს სპარსეთის ვაჭრები, წვრილი ხელოსნები და ინტელიგენცია.

აი ორი მთავარი ორიენტაცია, რომელიც დღეს იბრძვის სპარსეთში.

თუ რომელიმე მათგანი გაიმარჯვებს ეს დამყარებულია უმთავრესად სამხედრო წრეებისაგან სერდარ-სეპახ-რიზა-ხანის მეთაურობით.

საქმე იმაშია, რომ ამ უკანასკნელ წლებში ხსენებულ სერდა-სეპახმა მეტად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სპარსეთის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. მან შეჰქმნა მტკიცე სპარსეთის ეროვნული ჯარი და მისი საშვალებით მოექცა მთავრობის სათავეში.

ამ ჯარით სერდარ-სეპახმა დაიმორჩილა ყველა სპარსეთის ხანები და ბოლო მოუღო მათ თვითნებობას—ეს ხანები ანუ წვრილი თავადები, ძველად, თავის სახანოებში ე.ი. სამთავროებში განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდენ. ისინი არავითარ ანგარიშს არ უწევდენ სპარსეთის შაჰის, არ იხდიდენ არავითარ გადასახადებს, არ ემორჩილებოდენ ცენტრის კანონებს და ამავე დროს თვით აწესებდენ გადასახადებს თავის სამფლობელოში და ახდევინებდენ ბაჟს მათ ტერიტორიაზე გამვლელ ვაჭრებს. ერთი სიტყვით სპარსეთის ხანები სრულიად დამოუკიდებლად გრძნობდენ თავის თავს ცენტრალურ მთავრობისაგან. თავის ჯარით სერდარ სეპახმა ბოლო მოუღო მათ თავისუფლებას და დაუმორჩილა ისინი ცენტრალურ მთავრობას.

გარდა ამისა სახელმწიფოს ადმინისტრაციის აპარატიდან რიზა-ხანმა განდევნა ყველა უცხოელები და მათ ადგილზე დასვა სპარსელები. სერდა-სეპახი მიილტვის შექმნას დამოუკიდებელი სპარსეთი და ბოლო მოუღოს ინგლისელების ბატონობას.

ამისკენ არის მიმართული ყოველივე მისი აზრი და მოქმედება.

აქედან კი ცხადია თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სამხედრო წრეებს სპარსეთის ცხოვრებაში და კერძოთ სერდახ-სეპახ-რიზა-ხანს. იყო მომენტი როდესაც რესპუბლიკანურმა მოძრაობამ მიიღო მეტად მძლავრი მასიური ხასიათი. რიზა-ხანი დროებით გადადგა, მაგრამ უკანასკნელი რადიოს-ცნობით ის კვლავ სპარსეთის მთავრობის სათავეში დგება. სერდარ სეპახს მეტად დიდი ავტორიტეტი აქვს სპარსეთის ხალხში, რომელიც დიდის იმედით შეჰყურებს მის მოღვაწეობას.

თვით სერდარ-სეპახი იზიარებს „ტეჯედოტის“ პარტიის ხაზს ე. ი. მომხრეა რესპუბლიკის გამოცხადების მეჯლისის მიერ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სერდარსეპახი მომხრეა საბჭოთა კავშირთან მეზობლური ურთიერთობისა და თანამშრომლობის დამყარებისა. ჩვენი სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა სპარსეთთან დღითი დღე ვითარდება. ამ უკანასკნელ ნახევარ წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლის ამხ. შუმიაცკის სიტყვით, ჩვენ შევქენით შერეული საზოგადოებანი, როგორც, რუსეთ-სპარსეთის საკომერციო ბანკი, რუსეთ-სპარსეთის სავაჭრო საზოგადოება, რუსეთ-სპარსეთის ამხანაგობა აბრეშუმის დასამუშავებლათ და საექსპორტოდ, ბამბის საზოგადოებ და საიმპორტო-საექსპორტო საზოგადოება „შარკი“. გარდა ამისა მალე მოწყობილი იქნება სხვა საზოგადო ბანკიც. სპარსეთის ვაჭრები დიდი ნდობით უყურებენ საბჭოთა კავშირთან ვაჭრობას. ამის საუკეთესო მტკიცება ის გარემოებაა, რომ ზემოთქმულ შერეულ საზოგადოებაში მათ ჩადვეს მეტად მოზრდილი კაპიტალი.

სერდარ-სეპახის მთავრობის დაბრუნება ნიშნავს ამ ეკონომიურ ურთიერთობის, კავშირის განვითარებას და განმტკიცებას.

თუმცა სპარსეთის ფეოდალური რესპუბლიკა და სერდარ-სეპახის მიერ შექმნილი შეიარაღებული ძალა ვერავითარი გამომხატველია სპარსეთის მშრომელთა მასების, მაგრამ ის მაინც პროგრესიული მოვლენაა სპარსეთის ისტორიაში შაჰის ბატონობასთან შედარებით. შეუძლებელია ლაპარაკი რაიმე რევოლიუციაზე სპარსეთში, რადგან იქ კიდევ ფეოდალური წესწყობილება მეფობს და პროლეტარიატი როგორც ასეთი არ არსებობს. სპარსეთში ამ ჟამად პოლიტიკურად და ეკონომიურად ბატონობენ მსხვილი ფეოდალები.

პროლეტარულ კლასს შეადგენენ ვაჭრები, ინტელიგენცია და ხელოსნები, რომლებიც ერთ-ერთი მემარცხენე აქტიურ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენენ.

შესაძლებელია, რომ მომავალში იქონიონ განმავლობა სერდარ-სეპახზე და წაიყვანონ ის მარცხნივ.

ასე თუ ისე დღევანდელი სერდარ-სეპახის მთავრობა მიილტვის შექმნას სპარსეთში მტკიცე მთლიანი ცენტრალისტური სახელმწიფო აპარატი და ბოლო მოუღოს ინგლისელების ბატონობას და გავლენას.

ამავე დროს რიზა-ხანის მთავრობა სცდილობს განამტკიცოს მეზობლური და მჭიდრო სავაჭრო ეკონომიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.

ამაშია დიდი პროგრესიული მნიშვნელობა პოლიტიკური ამბებისა, რომელთაც ადგილი ქონდა ამ უკანასკნელ ხანებში სპარსეთში.

მონოლიტი.




## მე-7-დე ქართულ გაერ. მეთ. შემად. სამხ. სკოლა.

5 აპრილს ჩვენს კლუბში მე-2-რე ასეულის კურსანტების მიერ დადგმული იქნა: „პოლიტიკური მიმოხილვა"—ახალი მეთოდით. მიმოხილვა შედგებოდა ხუთი ნაწილისგან „რუსეთ ინგლისის კონფერენცია". მოქმედება სწარმოებდა ქანდარაზე. შუაზე პრეზიდიუმი—სცენიდან მარცხენა მხარეზეა რუსეთის დელეგაცია, მარჯვნივ ინგლისის. კონფერენციის ინსცენიროვკა ზეპირად და სხარტად იქნა წარმოდგენილი. მე-2-რე „ბესარაბიის ამბები", ბესარაბიის მუშების მიტინგი სცენიდან მარჯვენა კუთხეში (დარბაზში). მე-3-მე. „კომპარტიის რ გების განმტკიცება" სცენაზე: მუშები, წითელ არმიელები. ლენინის სურათი მშვენივრათ მორთული. ქანდარაზე ევროპის სახელმწიფოთა რუკები. რუსეთის იურიდიულად ცნობა და სხვა.

მე-4-ხე „წითელი ჯარის გაწვრთნა და გაძლიერება" მოხსენება. ამხ ფრუნზეს, (გაზეთიდან) მე 5-თე „სოფლის და ქალაქის მდგომარეობა და მასთან მაკრატლის საკითხი".

საღამო წარმოდგენას საგიტაციო ხასიათი, ქონდა უნდა სიამოვნებით აღნიშნოს კურსანტების ასეთი სიხალისე, მუშაობისადმი. ჩვენ ბევრჯერ ავღინიშნეთ გაზეთის ფურცელზე, რომ ჩვენ სკოლაში იდგმება მხოლოდ თვით კურსანტების ნაშრომი, რაც აკმაყოფილებს აუდიტორიას. ამ საღამოზე სუფლიორი. აღარ—ყოფილა, მაგრამ საღამო მაინც მშვენივრად ჩატირდა.

რომელიმე ნაწილს არ უნდა აინტერესებდეს დრო მოჭმულ პიესის დადგმა, როგორც ეს ხდება ზოგიერთ ნაწილებში, არამედ თვითონ უნდა შექმნან ახალი რამ წითელი არმიელების ცხოვრებიდან. დადგმაში უნდა იქმნეს დაინტერესებული თვითონ წითელ არმიელები და არა რომელიმე მსახიობი. ჩვენი მიზნია დავაინტერესოთ წერა კითხვის უცოდინარი წითელ არმიელები რათა ჩავაბათ ისინი მასიურ მუშაობაში, რომელიც გაასკეცებს ჩვენ—კულტურული მუშაობას.

ვიმეორებ დრო მოჭმულ პიესას რომელიც უკვე ჩაბარდა ისტორიას არ უნდა დაეთმოს ადგილი ჩვენს სცენაზე.

ზემო აღნიშნული საღამო დამთავრდა ღამის 11 საათზე. შემდეგ იქმნა ნაჩვენები კინო სურათი. ადგილობრივი მცხოვრებლები და კურსანტები დაიშალნენ ღამის პირველ საათზე.

კურსანტი ა. ჭკადუა.

## ორი წარმოდგენა.

შეჯიბრი ძალიან კარგი საშვალებაა, რომ ამა თუ იმ პიროვნებამ უკეთეს შემთხვევაში—კოლექტივმა გამოიჩინოს თავისი ენერგია. ჩვენ გვაინტერესებს წარმოდგენა. რომელიც გამართული იქმნა წ. არმ ცენტრ. კლუბში) პირველი ქართველ მეთაურთა სკოლის კურსანტთა მიერ—მარტის 31-ს და მეორე 1-ლ ქართ. მსროლ. ლეგიონის, რომელიც გაიმართა 3-ს აპრილს. პირველმა გაამართლა „საღამოს" დანიშნულება, მეორემ კი—წარმოდგენის. უნდა ითქვას, რომ პირველს აკლდა მომზადება, ეტყობოდა რომ სას წრაფოდ გაიმართა, ხოლო მეორეს, 1-ლ ქართ ლეგიონის წარმოდგენას ეტყობოდა ხანგრძლივი და ენერგიული მზადება.

პირველ საღამო—წარმოდგენაში ჩვენ ვიხილეთ—კურსანტთა საკუთარი, კოლექტიური ნაშრომი.

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ პირველს—კურსანტთა საღამო—წარმოდგენას—მიზნათა ჰქონდა თვითმოქმედება, სათეატრო მუშაობაში კოლექტიური სულისა და საგიტაციო ელემენტის შეტანა; ამ მხრივ იმან თავის მიზანს მიაღწია უეჭველად. „ორი ბანაკი" იყო კურსანტთა ახალი კოლექტიური ნაშრომი; ასეთივე იყო „ფაშიზმის აღსასრული" (აგიტ-ბალაგანი). აღნიშნულ საღამო წარმოდგენას არ შეიძლება თეატრი დაესახა თვითმიზნათ, ეს შეცდომა იქნებოდა რადგანაც წით. ლაშქრის ნაწილებისთვის თეატრი უნდა იყოს საშუალება და არა მიზანი.

კურსანტთა საღამო წარმოდგენას, აკლდა მომზადება და ბევრი მათგანი თავის ადგილას არ იყო; ამ რიგათ თუ 1-ლ ლეგიონის წარმოდგენას თეატრი მიზნათ ჰქონდა—მაშინ ის გამარჯვებულათ არ შეიძლება ჩაითვალოს. ხოლო თუ მას თეატრი ესმის, როგორც საშვალება—წით. ლაშქრის აღსაზრდელათ, მაშინ მან მუშაობის მშვენიერი ნიმუში მოგვცა... იმედია, მომავალში ჩვენს წ. ჯარს „ფონ-მირის ტრაღედიაზე" შესაფერის შინაარსიან წარმოდგენებს გაუმართავს. სასურველია თუ მომავალში შეჯიბრება გაიმართება—მოხდეს წინასწარი შეთანხმება პიესების შერჩევაში. საჭიროა წით. არმიელების მუშაობაში ჩაბმა, სხვათა შორის ჩვენი სათეატრო მუშაობის ერთ ერთი მიზანთაგანი ესეც უნდა იყოს. დასასრულს უნდა ითქვას, რომ როგორც პირველი კურსანტთა სკოლა, აგრეთვე მეორე—1-ლი ქართ. მსროლელი ლეგიონი მადლობის ღირსია. მხოლოდ პირველს უნდა უსურვოთ მეტი თეატრალური მომზადება და მეორეს—წით. ლაშქრისთვის შესაფერი პიესების შერჩევა.

დ. სამ-აძე.

გამოდგა.

სამ აპრილს, მოწყობილი იყო „ექსკურსია" პირველ, მეორე, მეოთხე და მეხუთე ასეულის წითელ არმიელებისათვის, რომლებსაც თან ახლდათ უფ-პოლიტ შემადგენლობა. პირველათ ვინახულეთ „ფერმის ბაღი" და შემდეგ ბაგრატის ტაძრის ნანგრევები. ექსკურსიამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ექსკურსანტებზედ.

ოთხ აპრილს, კარანტინში მყოფ მეშვიდე, მერვე ასეულთათვის და საკავშირო ჯგუფისათვის ერთად ლეგ. ლიტერატურულმა წრემ მოაწყო ლიტერატურული გასამართლება ეგ. ნინოშვილის მოთხრობის „მოსე მწერალის" მთავარი გმირის მოსე მწერლის გასამართლება, რომელსაც დაესწრნენ ხსენებული ასეულების წ. ა. უფ-პოლიტ. შემადგენლობით. გასამართლებაში მონაწილეობას იღებდნენ როგორც წითელ-არმიელები, ისე უფ-პოლიტ-შემადგენლობაც. გასამართლება კარგათ ჩატარდა და სასამართლომ და ნაფიც მსაჯულება მოსე მწერალი სცვნეს დამნაშავეთ.

საღამოს ამავე დღესვე ლეგიონის თეატრში იქნა გაშვებული კინოსურათები. კარანტინში არ მყოფ წითელ არმიელებისათვის.

სიცოცხლე და სიხარული ტრიალებს ჩვენს ლეგიონში, არა რათ ვაგდებთ გაორკეცებულ შრომის დახარჯვას, მუშაობას; მაგრამ გულს გვიკლავს ის, რომ ბუნება ხელს არ გვიწყობს; წვიმა, ქარი და სიცივე პაინც და მაინც ამ კვირაში დაიწყო.

**5 აპრილი.**

გვარიანი ამინდია, რითაც ვისარგებლეთ და მოვაწყვეთ ექსკურსია ქუთაისის მუზეუმში, სადაც წითელ-არმიელებმა და უფ პოლიტ შემადგენლობამ ინახულეს საქართველოს სიძველეთა ნაშთები, რომელსაც ახსნა განმარტებას აძლევდა მუზეუმის გამგე.

საღამოს ლეგიონის დრამატიული წრის მიერ გაიმართა ამავე ლეგ-თეატრში წარმოდგენა; წარმოდგენილი იქნა „რევოლიუციონერნი". „ორი გვრიტი და ერთი ბეღურა," რაც სცენის მოყვარეთა მიერ კარგათ იქნა ყატარებული. წაკითხულ იქნა საკუთარი ლექსები.

**6 აპრილი.**

ისევ წვიმა, ქარი და საერთოდ ცუდი ამინდი...

ჩვენმა დრამწრემ ხსენებულ დღეს საღამოს მოაწყო წარმოდგენა, წარმოდგენილი იყო „ქართველი სტუდენტები", „მღვდელ-დიაკვანთა ოინები", „შეშლილი" და „ვაი ყიზოს"; სცენის მოყვარეებს ეტყობოდათ კარგათ მომზადება, რაც გამოიხატებოდა მათი სცენაზე კარგათ თამაშობაშიდ...

შემდეგ გაიმართა ხორო ქუთ. კლუბ კოოპერატივთან არსებულ მომღერლთა გუნდის მიერ, ცნობილი სახალხო მომღერლის ლოლუას ლოტბარობით; მათ მიერ შესრულებულმა სახალხო სიმღერებმა აღტაცებაში მოიყვანეს წითელი არმიელები, რისთვისაც ცნობილი მომღერალი ხანგრძლივი ტაშით იქნა დაჯილდოვებული...

შემდეგ გაიმართა მესამე ტ ხნიკუმის მოწაფეთა მიერ ბალეტი და დასასრულ დივერტისმენტი (ცეკვა და სხვა) რაც აქტიორების მიერ კარგათ იქნა შესრულებული და სრულიათ კმაყოფილი საღამოთი, წითელი-არმიელები თავიანთი მეთაურებით მწყობრივ გაეშურენ ასეულში.

სამხკორი: ყუბანეიშვილი.

(გაგრძელება იქნება)

## უვადო შვებულებაში წითელ-არმიელთა გაშვება მესამე ლეგიონში.

მოაწია თუ არა 1 აპრილმა ჩვენმა ლეგიონის კლუბმა მაშინვე დაიწყო მზადება წითელ არმიელთა უვადო შვებულებაში გასასტუმრებლათ. კლუბის უფროსის ამხ. ლიუდვიკ ლადიძის დაუღალავმა და ენერგიულმა შრომამ, ამ დღეებიდან იწყო გაორკეცება; წინასწარ გაუკეთა მობილიზაცია ყველა იმ პირებს, რომლებსაც კიშეეძლოთ ლოზუნგების და პლაკატების დახატვა და სხვა, მაგრამ დამაბრკოლებელი მხარეები მაინც გვხვდებოდა, ეს იყო „კარანტინი", რომელიც ჯერ—კიდევ არ იყო მთლათ მოხსნილი.

პირველ აპრილს ლეგიონის თეატრში იქნა გაშვებული კინო სურათები, რომლებიც კარგი შინაარსიანი

## ლ ე ნ ა

(მეცამეტე ციკლი პოემიდან: „ეშაფოტი")

1912 წელი, 4 აპრილი..
ოქროს ტაიგა, პაროლით, და სხვა გაგება;
ლურჯ ხალათების აჯანყება, ფაფარ-აყრილი
და მარადიულ ბრძოლებით ძლევის აგება!

ტყვია.. გინება... ძველი მზის ყინვა...
სისხლიან დროშის დაფლეთა და გაქანება;
რევოლიუცია თავხედი... ციმბირი... ბოწყინვა
და ეშაფოტზე ჯალათის აქაქანება!..

შორი სიგნალი... თეთრ ფონზე წითელი წყ ვა...
თავისუფლება.. ურაგანი და წვა ცხელ ენის
გიჟ იალქნებზე არკინული საუკუნოს ოყევა
და ალავერდი ურჩ ანცებს... ყ ვილი ლენის!..

სეზმან ერ-აწმინდელი

## რაზედ გვწერენ

**კორესპონდენტებს სძინავთ.**

23 მარტს 7-დე სკოლის მესამე ასეულმა, ასეულის კორესპოდენტებად ამოირჩია ამხ. მ. ავაქოვი და კონსტ. გაზელია. გავიდა მას შემდეგ საკმაო დიდი დრო და ამხანაგებს არაფერი გაუკეთებიათ. რაშია საქმე? აღნიშნულ ასეულის ლენინის კუთხემ, თუ საამშენებლო საქმეში იცის მუშაობა, მან პოლიტხელთან ერთად ზოგიერთ შემთხვევაში „სხვა რამაც იცის".

მესამე ასეულის კურსანტები ამხანაგებს დანაშაულს არ აპატიებენ. დროა გაიღვიძონ. ჩვენ ვერ შევურიგდებით ასეთ საქციელს, თუ ვინმე რამეს დაივალებს ის მან პირნათლად უნდა შეასრულოს. წინაამდეგ შემთხვევაში ვიმეორებ ამხანაგებს მოხვდებათ წკეპლა.

მესამე ასეულის პოლიტ ხელის დავალებით: შ. თელია.

**ყოვლად დაუშვებელია.**

მთლიან სამხედრო მომხმარებელ საზოგადოების, რუსთაველის მაღაზიაში მსახურობს მაღაზიის კონტროლიორი, რომელიც ძლიერ მედიდურათ ეპყრობა მუშტრებს. თუ რაიმე საქმე გაქვთ მასთან ვერ მიიღებთ სათანადო პასუხს თუ ბატონოს კილოთი არ მიმართეთ. მაშინ, როგორც იქნება გაგცემთ პასუხს.

ერთ მშვენიერ დღეს ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევას:

ხსენებულ კონტროლიორთან მივიდა ერთ ერთი ძირითად კოოპერატივის გამგე და ეუბნება: „შეიძლება თუ არა, ამხ. მელაძე, მივიღო შეკვეთილი საქონელი". არც იქით არც აქეთ ამხ. მელაძე უტიფრად უპასუხებს: „დაიკარგე, წაეთრიე აქედან, ქენთვის არა მცალიაო". ნუ დაავიწყდება ამ. მელაძეს, რომ ის მსახურობს საბჭოთა ხელის უფლების დროს. ძველი დრო არ ეგონოს ეხლა. ასეთი საქციელი დაუშვებელია. თავისი უდიერი მოპყრობით ის აფერხებს კოოპერატივის საქმეს. რუსთაველის მაღაზია არის მამოძრავებელი ღერძი მთლიან სამხედრო მომხმარებელ საზოგადოებისა, რომელიც ანაწილებს საქონელს ყველა დანარჩენ კოოპერატივებზე. ასეთი საქციელი აქ დაუშვებელია. საჭიროა გამგეებმა მიაქციონ ყურადღება ამ გარემოებას.

გოგუა.

## ახალი ამბები.

— **დასასვენებელი დღეები.** ს. შრომის სახ. კომისარიატში შედის განცხადებებ საეკლესიო მე დღეების რევოლიუციონურ დღესასწაულებზე გადატანის შესახებ.

— **მაზრების ხარჯთაღრიცხვა** ფინანსთა კომისარიატის რწმუნებულის მიერ განხილულ იქნება უახლოეს ხანში საქ. რესპ. მაზრების ხარჯთაღრიცხვა.

— **სადოსტაქრო იარაღები.** საზღვარ გარეთიდან მიღებულია დიდძალი სადოსტაქრო ხელსაწყო იარაღები, რომელიც გადაეცემა რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს.

— **თოვლის მოსვლა.** 15 აპრილს, ღამით ტფილისის მიდამოებში მოვიდა თოვლი.

— **ტყეების რუქა.** მიწათ-მოქმედების კომისარიატის სატყეო განყოფილების მიერ შედგენილია საქართველოს ტყეების რუქა.

— **ტყეების დასაცავათ.** მიწ.-მოქმ. კომისარიატმა გადასწყვიტა უმნიშვნელო ტყეების მთელი რიგი გადარიცხონ ადგილობრივ ხელისუფლებათა განკარგულებაში.

— **აგარაკთა რიცხვი.** სრულიად საქართველოს ფ რგლებში, ამ ჟამათ მოწყობილია 89 ტყის აგარაკი 498.000 დეს. სივრცით.

— **დახმარება ინვალიდებს.** შესდგა კომისია, რომელსაც დაევალა გამოიმუშაოს გეგმა ომის ინვალიდებისათვის სამკურნალო დახმარების გაწევის შესახებ.

— **სამუშაოზე გაგზავნა.** 15 აპრილს შრომის ბირჟამ გაგზავნა სამუშაოზე 51 უმუშევარი.

— **პროვინციის დათვალიერება.** შრ. კომისარიატმა წინადადებით მიმართა ტეხნიკურ ინსპექციას, დაათვალიეროს ჭიათურის რაიონი.

— **„მოამბე"** გამოვიდა საქ. ცაკის და საქართ. მთავრობის ყოველთვიური ორგანო „მოამბის მორიგი მესამე ნომერი.

## ხელოვნება.

— **წიგნი ლენინზე.** იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა წიგნი ლე

ინზე. წიგნში მოთავსებული იქნება ლექსები და წერილები ქართულ, რუსულ, სომხურ და თათრულ ენებზე.

— **ხერუაშვილის წიგნი.** პოლიტ განათლების მთავარი მმართველობა შეუდგა მუშა-მგოსან გ. ხერუაშვილის ლექსების გამოცემას.

— **პლეხანოვის თეატრში.** ნაძალადევის, პლეხანოვის სახელობის თეატრში საოპერო წარმოდგენათა სეზონი დასრულდება 25 აპრილს.

### დღეს თეატრებში.

— **ოპერა — „აბესალომ და ეთერის“** გენერალური რეპეტიცია.

— **დრამა**—ინტერესთა თამაში.

— **სახ. სახლი**—რუსული წარმოდგენა.

### ქ. დ. ცენტრალურ კლუბში.

**შეჯიბრება.**

საკავშირო ასეულის დრამწრემ გამოიწვია შეჯიბრებაში, ცხენოსანთა ლეგიონის დრამწრე. 23 აპრილს ქ. მ. დ. ცენტრალურ კლუბში, საკავშირო ასეულის დრამწრე დადგამს შემდეგ პიესებს: 1) „ალია ქოროღლის“ მე-4-ე მოქ. 2) „შვილი თუ საყვარელი“—ტრაღედია 2 მოქ. 3) „რაც არ მერგება, არ შემერგება“—1 მოქ. ვოდევილი. 25 აპრილს კი ცხენლეგიონის დრამწრის მიერ წარმოდგენილი იქნება საპასუხოდ შემდეგი პიესები: 1) „არსენა ჯორჯიაშვილი“ — რევოლიუციონური დრ. 5 სურათად, 2) „სიკოია ბოლშენიკი“ 1 მოქ. კომედია. 3) „ხრიწნაძის ხორო“ 1 მოქ. შარჟი.

## ქართულ დივიზიის სამხედრო რევტრიბუნალში.

### 15 აპრილს გარჩეული საქმეები.

**შავლაშვილის საქმე.**

1-ლი ლეგიონის წითელ არმიელმა სიკო შავლაშვილი გაიპარა ნაწილიდან სახლში უფროსების დაუკითხავათ და დაყო იქ სამთვე ნახევარი. წასვლისას თან წაიღო სახაზინო ნივთების მთელი კომპლექტი. გამოძიებამ გამოარკვია, რომ შავლაშვილი გამხდარა ყურის ტკივილით ავათ, ყოფილა საავათმყოფოში, იქედან გამოუწერიათ, მაგრამ ტკივილს მაინც არ გაუვლია და უფროსების ნებართვით დადიოდა ამბულატორიაში. შემდეგ იგი გაიპარა თავის სოფელში, მილიციამ მას აცნობა, რომ იბარებდნენ ნაწილში და შავლაშვილიც გამოცხადდა თავის ნებით. სახაზინო ნივთები ზოგი გაცვეთილა და ზოგიც ხელზედ აქვს. აღნიშნულ შავლაშვილს ტრიბუნალმა მიუსაჯა დეზერტირობისათვის ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა და 10 მანეთის ქონების ჩამორთმევა.

სახაზინო ნივთების გაფლანგვისათვის კი ექვსი თვით გამასწორებელ სახლში მოთავსება. უმაღლეს სასჯელათ დარჩა ერთი წლით გამასწორებელ სახლში მოთავსება, ხოლო იღო რა ტრიბუნალმა ბრალდებულის სოციალური მდგომარეობა, სასჯელი შეუცვალა პირობითი სასჯელით ორი წლის საცდელი ვადით.

**დუნდუას საქმე.**

გაბრიელ ნიკოლოზის-ძე დუნდუა მსახურობდა წითელ არმიელათ 1-ლ ლეგიონში და 27 თებერვალს იგი გაიპარა სახლში. აღებული ჰქონდა შინაურულის წესით ორი დღის შვებულება, მაგრამ სახლში კი დარჩა თოთხმეტი დღე. ეს გარემოება ბრალდებულმა იმით ახსნა, რომ სახლში მას ბევრი ოჯახური სამუშაო ჰქონდა და ამიტომ დაიგვიანა ნაწილში წამოსვლით. ამავე დროს მას ჰქონია ექიმ ნანეიშვილის მოწმობა, რომ მამა ყავდა ფილტვების ანთებით ავათ. გამოძიებამ გამოარკვია, რომ ექიმ ნანეიშვილს მიუცია ბრალდებულისთვის ყალბი მოწმობა, რის გამოც ტრიბუნალმა დაადგინა ნანეიშვილი მისცეს პასუხის გებაში და საქმე გამოსაძიებლათ გადასცეს პროკურორს.

დუნდუას მიესაჯა ექვსი თვე გამსახლში მოთავსება და 25 მან. ქონების კონფისკაცია, ხოლო ტრიბუნალმა მიიღო რა მხედველობაში. მისი სიახალგაზრდავე სასჯელი შეუცვალა ორი წლის პირობითი სასჯელით, კონფისკაციის ძალაში დატოვებით.

### გასარჩევი საქმეები.

— **ბრძანების აუსრულებლობისათვის.** დღეს რევტრიბუნალში დანიშნულია რ-ლ ლეგ. წით. მოლაშქრის ნიკოლოზ ნატრაძის საქმე. ბრალდება უფროსების ბრძანების აუსრულებლობა.

— **დეზერტირის საქმე.** დღესვე, რევტრიბუნალი გაარჩევს 1-ლ ლეგ. წ. ა. ნიკოლოზ კანთელაშვილის საქმეს. ბრალდება დეზერტირობა.

— **ქონებათა გამფლანგველნი.** რევტრიბუნალი დღეს შეუდგება 1-ლი ლეგ. წითელ არმიელთა 1. დავით ვაჟბედაშვილის და 2. გიორგი გეთიაშვილის საქმეთა გარჩევას. ბრალდებათ დეზერტირობა და სახაზინო ქონების გაფლანგვა.

## სასოფლო მეურნეობა.

### რა ზარალი მოაქვთ სარეველა მცენარეებს ყანაში.

ყანაში გარდა სასარგებლო მცენარისა (პურის, ქერის, სიმინდის, კარტოფილის და სხვ.) ხშირად გამოერევა ხოლმე უსარგებლო მცენარეებიც, როგორც მაგალითად ნარი, კლერტი, ხვართქლა, შალაფა და სხვა მრავალი. ამ უსარგებლო მცენარეებს **სარეველი მცენარეები ეწოდებათ.**

სარეველ მცენარეებს ყველა იცნობს, მაგრამ ყველამ კარგათ არ იცის, თუ რა დიდი ზარალი მოაქვთ მათ და როგორ ამცირებენ მოსავლის რაოდენობას.

იმის გამოსარკვევათ, თუ რა ზარალი მოაქვთ სარეველ ბალახებს ერთმა მეურნემ ორ თანაბარ ნაკვეთზე ერთი და იგივე თესლი დასთესა. ყანის ზრდის განმავლობაში ერთ ნაკვეთს იგი ასუფთავებდა სარეველი მცენარეებისაგან, მეორეს კი არა. მოსავლის მოწევის დროს გამოირკვა, რომ **იმ ნაკვეთზე, სადაც სარეველ ბალახებს სპობდენ, სამჯერ მეტი მოსავალი მოვიდა.** ამასთანავე მარცვლებიც უკეთესი და უფრო დასრულებული იყო.

რატომ მოხდა ეს?

იმიტომ, რომ სარეველი მცენარეები ბევრნაირათ უშლიან ხელს სასარგებლო მცენარეს, რომ კარგათ განვითარდენ:

1. **სარეველი მცენარე ნიადაგიდან საკვებსა და წყალს ართმევს სასარგებლო მცენარეს.**

მცენარე ცოცხალი არსებაა და როგორც ყოველ ცოცხალ არსებას მასაც სჭირდება საკვები და წყალი. ამათ მცენარე ნიადაგიდან იღებს. ნიადაგში მათი რაოდენობა ბევრი არ არის და თუ სარეველი მცენარეები შეეცილა სასარგებლოს ამ მცირე საკვებში, მას იგი აღარ ეყოფა და კარგათ ვერ განვითარდება.

2. **სარეველი მცენარე ჩრდილავს და სულს უხუთავს სასარგებლო მცენარეს.** ზოგი სარეველი მცენარე იმდენათ დიდი იზრდება, რომ ჩრდილავს სასარგებლო მცენარეს. მზის ცხოველ მყოფელ სხივებს მოკლებული მცენარე კარგათ ველარ ვითარდება და მცირე მოსავალს იძლევა. ზოგი მცენარე, გარდა ამისა, მთლად შემოეხვევა ხოლმე (მაგალითად ხვართქლა) სასარგებლო მცენარეს და სულს უხუთავს მას.

3. **ზოგი სარეველი მცენარის თესლი ვნებს ადამიანისა და საქონლის ჯანმრთელობას.** ხშირად მოსავლის მოწევის დროს სარეველი მცენარეების თესლები მოსავალს გაყვებიან ხოლმე. ზოგ სარეველ მცენარის თესლები არის ხოლმე ისეთი საწამლავი, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობას ვნებს, მაგალითად მათრობელა, ან კიდევ ჩიოტა, რძიანა და სხვები, რომლებიც განსაკუთრებით საქონლისათვის არის საშიში.

სარეველ მცენარეებს სხვაც ბევრი ზარალი მოაქვთ, მაგრამ ყველა მათგანის ჩამოთვლა აქ არ ღირს.

ნათქვამიდან ისედაც ცხადია, თუ რა დიდი ზარალის მომცემია სარეველი მცენარეები. ამიტომ ყოველი შეგნებული მეურნე მთელი თავისი ძალ-ღონით და შესაძლებლობით უნდა სცდილობდეს მოსპოს თავის ყანაში სარეველი მცენარეები. იგი უნდა სცდილობდეს მეზობლებსაც შეაგნებიოს სარეველი მცენარეების მოსპობის საჭიროება. სარეველ მცენარეებს სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ.

ბ. ა.

### საბჭოთა აღმშენებლობა სავეტერინარო დარგში.

სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ გლეხის შეკომლილი დარბაზიდან გამოსული ვეტერინარ-ექიმი ნაკლებად ყავდა საქართველოს და ეს მოვლენა აიხსნება, რასაკვირველია, წარსული საუკუნოების შავბნელი პოლიტიკური წესწყობილებით, როდესაც სწავლა განათლება მითვისებული ჰქონდათ მხოლოდ „წარჩინებულ—მდიდარ კლასებს და უგანათლებულეს წოდებას“, რომლებიც შეგნებულად გაურბოდენ ამ მეცნიერებას, როგორც მატერიალურად არა ხელ საყრელ და თან მათი წოდებისათვის სათაკილო სპეციალობას.

მუშურ-გლეხურ ხელისუფლებამ ამ ავადმყოფობასაც შესაფერისი მალამო დაადო—და მეცნიერების ტაძრის კარები ფართოთ გაუღო გლეხის შვილებს. ეს კიდევ ცოტაა—ის ყაზარმები, სადაც წინეთ გლეხის, ჯანღონით სავსე და მახვილიანი ჭკუის მქონე, შვილები ჰლექის და „სლუშაიუს“, მეტს არას იძენდნენ, დღეს ეს ყაზარმები სწავლა განათლების ტაძრებად გადაიქცნენ და მით გლეხკაცის კეთილ-დღეობას მკვიდრი საძირკველი ჩაუყარეს. ამ მხრივ დიდ აღტაცებას იწვევს ის რეფორმა, რომელიც სამხედრო უწყებას შეუმუშავებია, დადებითად გადაუწყვეტია და ახლო მომავალში აპირებს ცხოვრებაში მის გატარებას. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს—**ეროვნულ დივიზიებში სავეტერინარო—ფერშლების სკოლების დაარსება.** (იხ. „წით. არმიელი“ № 441.)

ასეთი სკოლების დაარსება სადროისო და მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს, რადგან საბჭოთა საქართველოს ჯერჯერობით არა აქვს უმაღლესი სავეტერინარო სასწავლებელი, სადაც გლეხ კაცის შვილებს შეძლება ექნებოდათ მიეღოთ მშობლიურ ენაზე სრული ვეტერინარსპეციალური ცოდნა-განათლება; ხოლო სანამ საბჭოთა ხელისუფლება შესძლებს უმაღლეს სავეტერინარო ინსტიტუტის დაარსებას, ვეტერინალურ—ფერშლების შრომა, როგორც უფრო გლეხობისათვის ხელმისაწდომი დიდ ფაკტორად უნდა ჩაითვალოს.

უფრო დიდი და მეტად სასარგებლო მხარე ეროვნულ დივიზიებში ვეტერინარ-ფერშლების სკოლების დაარსებისა გამოიხატება იმაში, რომ გლეხკაცის შვილი, იქ იძენს ვეტერინალურ ცოდნას და შინ დაბრუნებული, უკვე მომზადებული, მეშვეობა როგორც თავის ოჯახს, ისე თავის მეზობლების ოჯახებს და მით ხელს შეუწყობს ვეტერინალურ ცოდნის საჭიროებას და სარგებლობას. ეს მხარე კი, ჩვენის ღრმა რწმენით უნდა ჩაითვალოს უაღრეს საავიტაციო საშუალებად; მარტო ამ საშუალებით შეიძლება მოისპოს ის არა სასურველი მოვლენები, რომელთაც ხშირად ადგილი აქვთ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში. მაგ. ამას წინად სოფელ იმერხევში, გორის მაზრა, მცხოვრებლებმა არ დაუშვეს ვეტ-ექიმები საქონლის ასაცრელად. ამ სამწუხარო და გლეხებისათვის მეტად საზიანო მოვლენას უეჭველია ბოლოს მოუღებს საფერშლო სკოლაში კურს დამთავრებულნი, ვეტ-ცოდნით შეიარაღებულნი და შვებულებაში სოფლად დაბრუნებულნი გლეხის შვილები, რომლებიც თავიანთი ყოველ დღიური პრაქტიკული მუშაობით დაუმტკიცებენ გლეხობას ვეტერინარიის სარგებლობას და საჭიროებას.

და აი ამაშია ჩანასკული ამ სკოლის დიადი მნიშვნელობა.

ბახრი.

## მეცნიერება და ტექნიკა

### კინო-ქალაქი.

ამ ქალაქს ეწოდება „უნივერსალსიტი“. ის შესდგება რამოდენიმე ქუჩისაგან. თითო იმათაგანი თავის თავად პერსპექტივაში წარმოადგენს მსოფლიოს რომელიმე კუთხეს. არის ავსტრალიის, აფრიკის, აზიის და სხვა და სხვა ტიპის ევროპის და ამერიკის ქალაქების ქუჩები. არის ყოველგვარ ეპოქის (ხანის) და კულტურის ქალაქები. ამ ქუჩებზე აგებულია ყოველგვარი საცხოვრებელი ბინები და სახლები, დამხმარე შენობები, რომლითაც ხასიათდება თანამედროვე კულტურა. ფულის და ადგილის მომჭირნეობისათვის ყველა სახლები და ქუჩები აგებულია იმ გვარად, რომ აღებული ცალკე ქუჩა, გადაღებული რომ იქნეს ორივე მხრით, ერთი მხარე მოგცემთ საშუალო საუკუნეების, გერმანიის ქალაქის სახეს, მეორე კი თანამედროვე ნიუ-იორკის ცამდის ამწვდილ სახლებს. „უნივერსალ სიტში“ მოწყობილია განსაკუთრებული მინდვრები, უდაბნოები, პოლიარული კუნძულები. იქ არის აგრეთვე ბუნებრივი ზღვა—„წყნარი ოკეანე“ ოკეანე დასერილია უბეებით და ნავთსადგურებით. ბუნებრივი მთები ყოველმხრიდან იძლევიან სხვა და სხვა გვარ პერსპექტივებს. ყოველივე სახლი, აგებული „უნივერსალ სიტში“, ოთხივე სხვა და სხვა მხრიდან იძლევა სხვა და სხვა გვარ შთაბეჭდილებას. კინემოტოგრაფიის არა მცოდნე, თუ შემთხვევით მოხვდა „უნივერსალ სიტში“ დაიბნევა. მას განსაკუთრებით გაანცვიფრებს ყოველივე შენობებში სტილის და პერსპექტივების არევა. ამ უნივერსალურ კინემოტოგრაფიულ ქალაქის შექმნაზე მუშაობდენ მსოფლიოს უნიჭიერესი არქიტექტორები. უთუოდ ქალაქიც მიტომ გამოვიდა საგანგებოდ—რომ არ არისსაგანი რომ იქ ვერ შესძლოთ მისი გადაღება. ამ ქალაქის აგებამ საგრძნობლად შეამცირა ამერიკის კინემოტოგრაფიის ხარჯები. ქალაქი ეკუთვნის ერთ-ერთ მსხვილ კომპანიას, რომელსაც მისი აგება დაუჯდა ას მილიონ დოლარამდე; ის კინო-სურათების გადასაღებათ იჯარით აძლევს ქალაქს, ფირმებით იშვიათ შემთხვევაში, თუ სურათი პრეტენზიებს აცხადებს, „ისტორიულ სიმართლეზე“ ამავე „უნივერსალ სიტში“ აგებენ სურათისათვის სპეციალურ შენობებს. ევროპამ დღემდის ვერ შესძლო ნამდვილ კინო-ქალაქის აგება. მხოლოდ გერმანიის ატელიეებს აქვს ამ გვარ ქალაქების ხასიათი პატარა მასშტაბით. ატელიესათვის ეხლა სარგებლობენ ცეპელინების სადგომებს (ანგარა), სადაც გასაქანისათვის დიდი ასპარეზია. ეს სადგომი შუშითაა დახურული, კედლებიც მისივე აქვს, სათანადო განათებით და გარდა ყოველივე ამისა, მოწყობილია მიმდგომი რკინის გზა, დამხმარე შენობებით, პროჟექტორებით და სხვ. თუმცა ამ სადგომებში არ შეიძლება მუდმივ შენობების აგება, მაგრამ აგებულები კი განირჩევიან თავისი გრანდიოზულობით, რაც ბევრ რაიმეს გასწევს კინო სურათში, ამ გზით კინო-წარმოება აგებს მსოფლიოს ყველა კუთხეებს, არსებულ და არ არსებულ ეპოხებს კინო-სურათებისათვის. კინოს ტეხნიკა უზარმაზარ ნაბიჯებით მიდის წინ, და რამდენიმე წლის შემდეგ შესაძლებელი იქნება ხელოვნურ შენობების აგება ან ბუნებიდან გადაღება, რაც შეუძლებელია დღეს დღეობით.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 800 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.